01

თურქეთის საგრანტო პროგრამა

თურქეთის საგრანტო პროგრამა ციფრებში 06

გრანტის მოცულობა 08

საგრანტო პროგრამები 09

- პროფესიული განათლება
- საბაკალავრო პროგრამა
- სამაგისტრო პროგრამა
- მოკლევადიანი პროგრამები

02

კანდიდატები

განაცხადი 12

საჭირო დოკუმენტაცია 13

საკონკურსო პირობები 14

შერჩევის პროცესი 15

გასაუბრებისთვის შესარჩევი კრიტერიუმები 15

სარჩევი

03

სტუდენტებისთვის

სტუდენტის გზამკვლევი	16
თურქული ენის შემსწავლელი კურსი	17
საგრანტო პირობები	17
კულტურული და აკადემიური განვითარება	18
საერთაშორისო სტუდენტური აკადემია	18
საერთაშორისო სტუდენტების სტაჟირების პროგრამა	18
საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონგრესი	19
საერთაშორისო სტუდენტური ჯილდოები	19

04

კურსდამთავრებულთათვის

საერთაშორისო სტუდენტთა გამოსაშვები ცერემონიალი	20
კურსდამთავრებულთა ქსელი	21
კურსდამთავრებულთა ასოციაციები	21

05

საკონკურსო კალენდარი

გრანტის მოცულობა

უნივერსიტეტსა და ფაკულტეტზე ჩარიცხვა

ყოველთვიური სახარჯო თანხა

საბაკალავრო პროგრამა, თვეში **4.500**	სამაგისტრო პროგრამა - თვეში **6.500**
სადოქტორო პროგრამა - თვეში **9.000**	კვლევითი სტიპენდია - თვეში **25.000***

უნივერსიტეტის საფასური

თურქული ენის შემსწავლელი კურსი (1 წელი)

ჯანმრთელობის დაზღვევა

საცხოვრებელში განთავსება

თვითმფრინავის ორმხრივი ბილეთ (ერთჯერადი)

სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტში მიღებულ განათლებასთან ერთად, კულტურული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა:

- კულტურული ღონისძიებები
- სტაჟირების შესაძლებლობა
- უნივერსიტეტსა და სხვადასხვა საზოგადოებების ერთობლივი სასემინარო პროგრამები

* კვლევითი გრანტები მოიცავს მხოლოდ ყოველთვიურ სახარჯო თანხას.

საგრანტო პროგრამები

თურქეთის საგრანტო პროგრამა; პრიორიტეტული საგანმანათლებლო მიმართულებების ყოველი საფეხურისთვის, რეგიონსა და ქვეყნისთვის მორგებულ სპეციალურ პროგრამებს გთავაზობთ. კანდიდატებს, უნივერსიტეტებისა და აკადემიური პროგრამების ჩამონათვალი შეუძლიათ იხილონ სპეციალური სისტემის დახმარებით - Türkiye Bursları Bilgi Sistemi (TBBS).

პროფესიული განათლების საგრანტო პროგრამა

ორწლიანი პროფესიული განათლების პროგრამა გთავაზობთ, კარიერული წინსვლისთვის საჭირო სპეციალური ცოდნისა და უნარების განვითარების შესაძლებლობას. ხელმისაწვდომი ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგერდზე.

საბაკალავრო საგრანტო პროგრამა

საბაკალავრო საგრანტო პროგრამა, განკუთვნილია საბაკალავრო საფეხურზე განათლების მიღების მსურველთათვის. საინჟინრო ფაკულტეტიდან - ჯანდაცვამდე, ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან - სოციალურ მეცნიერებამამდე; სხვადასხვა თემებით დაინტერესებულ სტუდენტებს, საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საგრანტო კონკურსში. უნივერსიტეტებისა და ხელმისაწვდომი ფაკულტეტების გასაცნობად შეგიძლიათ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს.

სამაგისტრო და სადოქტორო საგრანტო პროგრამები

თურქეთის საგრანტო პროგრამა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამით დაინტერესებულ სტუდენტებს, თურქეთის წამყვან უნივერსიტეტებში - სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო მიმართულების მრავალფეროვან არჩევანს გთავაზობთ. უნივერსიტეტებისა და ხელმისაწვდომი ფაკულტეტების გასაცნობად შეგიძლიათ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს.

მაღალი მოსწრების სტიპენდია

მაღალი მოსწრების სტიპენდია ითვალისწინებს, თურქეთის საგრანტო პროგრამის მონაწილე მაღალი მოსწრების მქონე სტუდენტთათვის, დანიშნული ყოველთვიური სტიპენდიის გაორმაგებას. მაღალი მოსწრების სტიპენდია გათვალისწინებულია, როგორც გრანტის მიმღები კანდიდატისთვის, ასევე საგრანტო პროგრამაში უკვე მონაწილე სტუდენტებისათვის. პირობების გასაცნობათ შეგიძლიათ ეწვიოთ ჩვენს ვებგერდს.

მოკლევადიანი პროგრამები

წარმატებული სტუდენტების პროგრამა

წარმატებული სტუდენტების პროგრამა განკუთვნილია მხოლოდ მათთვის ვინც საკუთარი ხარჯით სწავლობს თურქეთის უნივერსიტეტებში და გამოირჩევა განსაკუთრებული აკადემიური მიღწევებით. წარმატებული სტუდენტების პროგრამა მოიცავს მხოლოდ თვიურ საახარჯო თანხას.

კვლევითი საგრანტო პროგრამა

კვლევითი საგრანტო პროგრამა განკუთვნილია საერთაშორისო მკვლევართა და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელთათვის. პროგრამის მიზანია, თურქეთის წამყვანი უნივერსიტეტების მეცნიერებთან თანამშრომლობით თქვენთვის საინტერესო აკადემიური კვლევის გაღრმავებისა და განვითარების ხელშეწყობა.

გაითვალისწინეთ

ზოგიერთ ფაკულტეტსა და პროგრამას შესაძლოა ჰქონდეს დამატებითი მოთხოვნები. სპეციალური კრიტერიუმებსა და მოთხოვნებზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ ეწვიოთ შესაბამისი ფაკულტეტისა და ონლაინ განაცხადის ვებგვერდები.

კანდიდატები

განცხადება

თურქეთის საგრანტო პროგრამებზე განაცხადი ივსება ონლაინ და არის უფასო. კანდიდატებს განაცხადის გაკეთება შეუძლიათ შემდეგი ბმულების მეშვეობით:

www.turkiyeburslari.gov.tr

ან

www.turkiyescholarships.gov.tr

- **თურქეთის საგრანტო პროგრამის განაცხადის მიღების პერიოდი გამოქვეყნდება თურქეთის საგრანტო პროგრამის ოფიციალურ ვებგვერდზე.**
- **განაცხადის გაკეთება შესაძლებელია 8 სხვადასხვა ენაზე; თურქული, არაბული, ინგლისური, სპარსული, ფრანგული, რუსული, ბოსნიური და ესპანური.**

საჭირო დოკუმენტაცია

კანდიდატმა, ონლაინ განაცხადის გაკეთების დროს უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

- მოქმედი პირადობის მოწმობა ან საზღვარგარეთის პასპორტი
- კანდიდატის ფოტო
- საჭიროების შემთხვევაში ეროვნული გამოცდების შედეგები
- დიპლომი ან უნივერსიტეტის დამთავრების მოწმობა (კანდიდატები რომლებიც იმყოფებიან დამამთავრებელ კურსზე ცნობა უნივერსიტეტის დამთავრების შესახებ არ მოეთხოვებათ)
- ნიშნების ფურცელი - ტრანსკრიპტი
- შერჩეული პროგრამის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში საერთაშორისო გამოცდების შედეგები (GRE,GMAT.. ა.შ.)
- ენის გამოცდის შედეგები (შერჩეული პროგრამის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში)
- საკვლევი საკითხის მიმოხილვა და გაწეული სამუშაოების წერილობითი აღწერა (მხოლოდ სადოქტორო პროგრამისთვის)



საკონკურსო პირობები

- აკადემიური მოსწრების მინიმალური მოთხოვნა:
- საბაკალვრო პროგრამისთვის: 70%
  - ჯანდაცვის ფაკულტეტისთვის (სამედიცინო, სტომატოლოგია და ფარმაცევტია) - 90%
  - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამისთვის - 75%
- ასაკობრივი შეზღუდვები:
  - პროფესიული პროგრამისთვის - 21 წლამდე
  - საბაკალავრო პროგრამისთვის - 21 წლამდე
  - სამაგისტრო პროგრამისთვის - 30 წლამდე
  - სადოქტორო პროგრამისთვის - 35 წლამდე
  - კვლევითი პროგრამა - 50 წლამდე

გაითვალისწინეთ

- სტუდენტები რომლებიც კონკურსის გამოცხადების მომენტში უკვე სწავლობენ თურქეთში, სწავლების იმავე საფეხურზე საკონკურსო განაცხადის შევსების უფლება არ აქვთ.
- მოკლევადიანი საგრანტო პროგრამებისთვის შესაძლოა წამოყენებულ იქნეს დამატებითი ან განსხვავებული მოთხოვნები.
- გთხოვთ განაცხადის გაკეთების მომენტში გაეცნოთ აუცილებელ მოთხოვნებს.
- თურქეთის საგრანტო პროგრამა არ მოიცავს ჯანდაცვის სფეროში სპეციალიზაციის მიმართულებებს .

შერჩევის პროცესი

თურქეთის საგრანტო პროგრამისთვის კანდიდატები შეირჩევიან აკადემიური მოსწრების, ექსტრაკულიკულური აქტივობებისა და სხვა პროფესიული კომპეტენციის შესაბამისად.

1 პირველი ეტაპი

განაცხადი მოწმდება მინიმალური აკადემიური ქულის, ასაკობრივი ზღვარის, მოთხოვნილი დოკუმენტაციის სისრულის საფუძველზე.

2 შეფასება

კანდიდატთა განაცხადებს ექსპერტთა კომიტეტი აფასებს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: აკადემიური მოსწრება, გამოცდილება, აკადემიური ინტერესის სფეროები, კარიერული მიზნები, თანამიმდევრულობა, სამოტივაციო წერილის შინაარსი/პათოსი და სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა. აღნიშნული ეტაპის დასრულების შემდეგ, კომიტეტი გამოავლენს გასაუბრებისთვის კვალიფიციურ კანდიდატთა საბოლოო სიას.

3 გასაუბრება

100-ზე მეტი ქვეყნიდან გასაუბრებისთვის შერჩეულ კანდიდატებს, მეცნიერებითა და ექსპერტებით დაკომპლექტებული კომისია შეაფასებს.

როგორ ტარდება გასაუბრება?

კვალიფიციური კანდიდატებისთვის გასაუბრება ჩატარდება მათივე ქვეყანაში. ზოგ შემთხვევაში შეიძლება გასაუბრება ტელეფონის ან ინტერნეტის მეშვეობით ჩატარდეს. გასაუბრებისთვის კომისია კომპლექტდება თურქეთის საგრანტო პროგრამის წარმომადგენლისა და თურქეთის უნივერსიტეტიდან მოვლინებული აკადემიური პერსონალით. გასაუბრება, ქვემოთ მოცემული ფორმატით საშუალოდ 15-30 წუთი გრძელდება. :

- მისალმება და შესავალი
- დოკუმენტების შემოწმება
- კანდიდატის მიერ განაცხადის გაკეთების მიზნების გარკვევა
- აკადემიური ცოდნა და კარიერული მიზნები
- დასასრული და კანდიდატის მხრიდან კომიტეტის წევრებისთვის კითხვების დასმა

4 შერჩევა

გასაუბრების კომისიის მიერ ჯამდება კანდიდატის ინტერვიუს შედეგები, რომლის შემდეგაც დგება კონკურსში გამარჯვებულთა სია.

5 თანხმობა

გასაუბრების შემდეგ კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატებს თურქეთის საგრანტო პროგრამის საინფორმაციო სისტემაში (Türkiye Bursları Bilgi Sistemi (TBBS) და ელექტრონულ ფოსტაზე გაეგზავნებათ თანხმობის წერილი, რომელშიც მითითებული იქნება სტიპენდიის მიღების შემდგომი პროცედურა. საგრანტო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა მოგვარდეს კანდიდატის თურქეთში ჩასვლამდე.

სტუდენტის გზამკვლევი

თურქეთის საგრანტო პროგრამის სტუდენტებისთვის, თურქეთში ჩამოსვლამდე და ჩამოსვლის შემდეგ საჭირო პროცედურებისა და ზოგადი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ იხილოთ სტუდენტის გზამკვლევი შემდეგ ბმულზე: **www.turkiyeburslari.gov.tr**

თურქული ენის შემსწავლელი კურსი

თურქეთის საგრანტო პროგრამის ფარგლებში, თურქეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ჩარიცხული ის სტუდენტები რომელიც არ ფლობენ თურქულ ენას, 1 წლის განმავლობაში გაივლიან უფასო თურქული ენის შემსწავლელ კურსს.

თურქული ენის შემსწავლელი კურსი სავალდებულოა არა მხოლოდ მათთვის რომელთა ფაკულტეტზეც სწავლა მიმდინარეობს თურქულ ენაზე, არამედ ყველა იმ სტუდენტისთვის ვინც არ ფლობს თურქულ ენას, მიუხედავად ფაკულტეტზე სასწავლო ენისა; იქნება ეს ინგლისურ თუ სხვა უცხო ენა. .

საგრანტო პირობები

თურქეთის საგრანტო პროგრამის სტუდენტებისთვის სასტიპენდიო პროცედურები საზღვარგარეთ მცხოვრები თურქებისა და მონათესავე ხალხების სამმართველოს (YTB) მხრიდან ხორციელდება. სამმართველოს მხრიდან სტუდენტები მიიღებენ:

- ყოველთვიურ სტიპენდიას
- საბანკო საკითხებში მხარდაჭერას
- ჯანმრთელობის დაზღვევა
- ბინადრობის მოწმობასთან დაკავშირებული პროცედურები
- აკადემიური პროცედურები

კულტურული და აკადემიური განვითარება

თურქეთის საგრანტო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო სტუდენტების სოციალურ, კულტურულ და აკადემიური განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

საერთაშორისო სტუდენტური აკადემია

ჩვენს ქვეყანაში განათლების მიმღები სტუდენტებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან თურქეთის საგრანტო პროგრამაში, გარდა საუნივერსიტეტი განათლებისა, საერთაშორისო სტუდენტური აკადემიის მეშვეობით შესაძლებლობა აქვთ განავითარონ საკუთარი აკადემიური, სოციალური და კულტურული უნარები. სხვადასხვა საზოგადოებებისა და კვლევითი ცენტრების კოორდინირებული მუშაობის შედეგად, 17 ქალაქში ერთმანეთისგან განსხვავებულ სფეროებში ეწყობა სხვადასხვა სახის სემინარები, სპეციალიზაციის პროგრამები და კულტურა-ხელოვნების ღონისძიებები.

საერთაშორისო სტუდენტების სტაჟირების პროგრამა

საერთაშორისო სტუდენტთათვის სტაჟირების პროგრამა ხორციელდება ზაფხულის პერიოდში. თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში, თურქეთის საგრანტო პროგრამაში მონაწილე საერთაშორისო სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მიიღონ სამუშაო გამოცდილება. პროგრამა, რომელიც 2021 წლიდან ხორციელდება, სტუდენტებს საშუალებას აძლევს, განათლების მიღების პერიოდში შეიძინონ მოკლევადიანი სამუშაო გამოცდილება სტაჟირების გავლის გზით საჯარო და კერძო სექტორში.

საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონგრესი

ჩვენს ქვეყანაში თურქეთის საგრანტო პროგრამის ფარლებში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე მყოფი საერთაშორისო სტუდენტების აკადემიური უნარების განვითარებისა და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ტარდება საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონგრესი. კონგრესის ფარგლებში მოხსენებები მიიღება სოციალურ და ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო, ჯანდაცვისა და კონგრესის მიერ დაანონსებული სპეციალურ სამეცნიერო თემატიკაზე.

საერთაშორისო სტუდენტური ჯილდოები

ჩვენი სამმართველო, ყოველწლიურად აჯილდოებს სტუდენტებს, რათა ხელი შეუწყოს თურქეთში უმაღლესი განათლების მიმღები საერთაშორისო სტუდენტების უნარების, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას ფართო საზოგადოებისთვის და მხარი დაუჭიროს მათ მიერ წამოჭრილ ღირებულ იდეებსა და ნამუშევრებს. ჯილდოები ხელს შეუწყობს, კულტურა-ხელოვნების, ლიტერატურის, მედიისა და სხვადასხვა სფეროში წარმატებულ საერთაშორისო სტუდენტებს კარიერული განვითარებას.

კურსდამთავრებულთათვის

საერთაშორისო სტუდენტთა გამოსაშვები ცერემონიალი

საერთაშორისო სტუდენტთა გამოსაშვები ცერემონიალი, 2012 წლიდან ე.ი. თურქეთის საგრანტო პროგრამის დაფუძნების დღიდან ყოველწლიურად ტარდება. ღონისძიება აერთიანებს იმ სტუდენტებს ვინც უკვე დაასრულა საგანმანათლებლო თავგადასავალი თურქეთში და შეუერთდა თურქეთის კურსდამთავრებულთა ოჯახს.

კურსდამთავრებულთა ქსელი

თურქეთის საგრანტო პროგრამისთვის მნიშვნელოვანია ჩვენს კურსდამთავრებულებთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნება. შესაბამისად სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით ვაგრძელებთ მათთან ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და აკადემიური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას. თურქეთის საგრანტო პროგრამის კურსდამთავრებულთა საზოგადოება 184 ქვეყანაში 150 ათას წევრს ითვლის. ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, 50-ზე მეტ ქვეყანაში იმართება შეხვედრები - დაახლოებით 100 კურსდამთავრებულთან. ურთიერთობების გაღრმავების ფარგლებში, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, კურსდამთავრებულებს მხარდაჭერას უცხადებს სხვადასხვა პროექტებისა და აქტივობების ორგანიზებაში.

კურსდამთავრებულთა ასოციაციები

თურქეთის საგრანტო პროგრამასა და კურსდამთავრებულებს შორის მდგრადი ურთიერთობების განვითარების მიზნით, მრავალ ქვეყანაში კურსდამთავრებულთა მხრიდან შეიქმნა მოხალისეობრივი ასოციაციები, რომელთა მეშვეობითაც მათ ეძლევათ საშუალება თურქეთთან ისევე, როგორც ერთმანეთთან დაამყარონ მჭიდრო კავშირები. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედი ასოციაციების საშუალებით, კურსდამთავრებულები აღრმავებენ როგორც აკადემიურ და სოციალურ ურთიერთობებს, ასევე მათივე ქვეყანაში ახალგაზრდა თაობებს აწვდიან ინფორმაციას თურქეთის საგრანტო პროგრამის მიერ შემოთავაზებულ საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ.

TÜRKİYE MEZUNLARI

თურქეთის კურსდამთავრებულთა შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ: www.turkiyemezunlari.gov.tr

საკონკურსო კალენდარი

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა	
ეტაპები	ვადები
განაცხადის მიღება	იანვარი - 20 თებერვალი
განაცხადის განხილვა	მარტი - აპრილი - მაისი
გასაუბრება	ივნისი - ივლისი
შედეგების გამოცხადება	აგვისტოს დასაწყისი
ხელშეკრულება და სავიზო პროცედურები	აგვისტო
სტუდენტების თურქეთში მიღება და აკადემიური წლის დასაწყისი*	სექტემბერი

*გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შერჩეული კანდიდატებისთვის შედეგები ცნობილი გახდება ზაფხულის პერიოდში, შესაბამისად თურქეთში გამგზავრებამდე, საკუთარ ქვეყანაშივე უნდა უზრუნველყონ, რომ ხელთ ჰქონდეთ ყველა საჭირო დოკუმენტი და დიპლომი, რომელიც ადასტურებს მათი განათლების დონეს.

კვლევითი გრანტები	
ეტაპები	ვადები
განაცხადის მიღება	1 იანვარი - 31 მარტი
განაცხადის შედეგების გამოცხადება	აპრილი
განაცხადის მიღება	1 აპრილი - 30 ივნისი
განაცხადის შედეგების გამოცხადება	ივლისი
განაცხადის მიღება	1 ივლისი - 30 სექტემბერი
განაცხადის შედეგების გამოცხადება	ოქტომბერი
განაცხადის მიღება	1 ოქტომბერი - 31 დეკემბერი
განაცხადის შედეგების გამოცხადება	იანვარი

წარმატებული სტუდენტების სტიპენდია	
ეტაპები	ვადები
განაცხადის მიღება	ოქტომბერი - ნოემბერი
განაცხადის განხილვა	ნოემბერი - დეკემბერი
შედეგების გამოცხადება	დეკემბერი

საგრანტო პროგრამებსა და პროგრამაზე განაცხადის შევსების შესახებ დამატებით ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ შემდეგ ვებგვერდებს:

www.turkiyeburslari.gov.tr
www.turkiyescholarships.gov.tr

ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჩვენს საინფორმაციო ცენტრს ცხელი ხაზის მეშვეობით:
0850 455 0982

კითხვების შემთხვევაში:
info@turkiyeburslari.gov.tr